გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-შენობისთ ქუჩაზედ, სახ. ლი № 9, ბ. ხიდეკელის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და კრიქოროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



**გაზეთი „ივერია“ პირველის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.**

ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა,

გამოცემული ი. მურადოვისაგან,

ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.

იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—8)


ტფილისი, 4 სექტემბერი

წარსულს წერილში ჩვენ განვმარტეთ ის აზრი, რომ უმთავრესი სენი ჩვენის საზოგადო აგებულებისა უსწავლელობა, გაუნათლებლობაა, რომ ჩვენი საკუთარი უმეცრება, სხვათა შორის, უმთავრესი მიზეზია ყოველ გვარის ავკაცობისა, ბოროტ-მოქმედებისა. არა მარტო დანაშაულობათა მიზეზია უსწავლელობა, არამედ ყოველი ჩვენი ნაკლულევანება აიხსნება იმავე მიზეზით. მართლადაც, საიდგანაც გასინჯავთ ჩვენს ცხოვრებას, რომელს მხარესაც ჩაუკვირდებით, რომელი ჩვენი სენი და ნაკლულევანება გინდათ აიღეთ, ყოველგან ჰპოვებთ ამ უმთავრესს მიზეზს.

მაშასადამე ცხადია, რომ განსაკუთრებით სწავლა-განათლებაში უნდა ვეძიოთ შვება ყოველ გვარ სენისაგან; საჭიროა განსაკუთრებითი ყურადღება მივაქციოთ სწავლა-ცოდნას, და მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს გრძნობა-გონებასთან ერთად გაძლიერდება ჩვენი ეკონომიური შემძლებლობა, ადამიანის სიცოცხლე და ქონება მეტს პატივს დაიმკვიდრებს, საზოგადოება მეტს ყურადღებას ათხოვებს თვითოეულ წევრის საჭიროებას, უფრო გულ-მოდგინედ მოეკიდება თავის აწმყოს და მერმისს და ისიამოვნებს ნამდვილის ადამიანურის ცხოვრებითა...

ამ საქმეზე, როგორც ყოველს გვარს საზოგადო საგანზე, თვით საზოგადოებამაც უნდა იზრუნოს და მით ხელი შეუწყოს საკუთარს წარმატებას, რადგანაც ყოველი საზოგადო საქმე მაშინ არის დღეგრძელი, ცხოველი და მკვიდრი, როცა მას თვითონ საზოგადოება ეტანება, ჰფიქრობს და ზრუნავს მასზე. ყოველი საზოგადოება მაშინ დაადგება წარმატების გზასა, როდესაც მომეტებულად თვით-მოქმედობს, და კაცობრიობის გამოცდილებიდგან ცნობილია, რომ თვით-მოქმედება უმთავრესი პირობაა წარმატებისა.

სწორედ ამ პირობას მოკლებულნი ვართ ჩვენ. მრავალჯერ გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენ ძალიან ნაკლებად ვეტანებით სწავლა-ცოდნას, ძალიან ნაკლებად ვთვით-ვმოქმედობთ და საზოგადოდ გულ-გრილად ვეკიდებით საკუთარს წარმატებას. არც საკუთარს თავზე ვფიქრობთ და არც ჩვენ შთამომავლობაზე ვზრუნავთ, და ცხოვრების ტალღა ისე გვათამაშებს, ვითარცა ნაფოტს, რომელსაც არ შეუძლიან შეებას ცხოვრების ტალღას...

რაც ამ წერილებში ვთქვით, იქიდგან ცხადია, რომ ჩვენ გზა კი არ უნდა შევკვეკრას წარმატებისა, არამედ კიდევ უფრო მეტი სახსარი და შეღავათი უნდა მოგვეცეს, რათა საკუთარს წარმატებაზე ვიზრუნოთ. ცხადია, რომ ყოველს სენს, ნაკლულევანებას წამლობა უნდა, და არა სნეულის აგებულების შეხუთვა, შეწუხება, რადგანაც იგი შეხუთვა მხოლოდ ბოლოს მოუღებს და განკურნებით-კი ვერ განკურნებს. როდესაც რომელსამე საზოგადო აგებულებას ღრღნის რაიმე სენი, ნაკლულევანება, მაშინ საჭიროა, მომეტებული ყურადღება მიექცეს იმ აგებულების კანონიერ საჭიროებათა, უფლებათა, რადგანაც საჭიროებათა და უფლებათა შევიწროება, შემცირება, ბოლოს მოუღებს-კი არა იმ სენსა და ნაკლულევანებათა, არამედ კიდევ უფრო განაძლიერებს მათ და გაათორკეცებს...

ორიოდე სიტყვა კიდევ. როცა ამ უკანასკნელს ხანებში შეიქმნა ლაპარაკი ავ-კაცობისა და ბოროტ-მოქმედების გავრცელებაზე, ერთმა ცნობილმა პუბლიცისტმა თვისი აზრი წარმოსთქვა მასზე, თუ რა შედეგი მოჰყვება, სხვათა შორის, ავაზაკობასა. პატივცემული პუბლიცისტი ქ. ლიმბერგერის გაცარცვის გამო ამბობდა, რომ ავკაცობა შეამცირებს ქვეყნის კრედიტს, რადგანაც ადამიანი და კაპიტალები მშიშარნი არიანო, და ამიტომაც ჩვენის ქვეყნის აუარებელი სიმდიდრე შეუმუშავებელი და გამოუყენებელი დარჩებაო; უცხო კაპიტალები გზას აგვიხვევენო და ჩვენს სიმდიდრეს არ დაეწაფებიანო. ჩვენის ფიქრით, ეს აზრი გაზვიადებულია; მართალია, ადამიანი თავის სიცოცხლეს და ქონებას ყოველს საუნჯეზე უფრო ძვირად აფასებს, მაგრამ, როგორც თვით კაპიტალიზმის ისტორია გვასწავლის, კაპიტალიზმი ჩვენებურ ავაზაკებზე უფრო უშიშარი, გამბედავი და მხნეა...

როცა ავაზაკობასა და ავ-კაცობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა რომლისამე კერძო პირისა ან დასის და წოდების საჭიროება და ინტერესები, არამედ საზოგადოდ ადამიანისა, საზოგადოებისა. სულ ერთია, ვინც უნდა გაცარცონ და მოჰკლან: ქ. ლიმბერგერისა, თუ ის საბრალო გლეხი, რომელსაც თავი გააგდებინა თ. მ—ემ. აქ სავალალო ის არის, რომ ავ-კაცობა მისწვდება ადამიანის სიცოცხლეს და ქონებას; ამ საბრალო გლეხის სიცოცხლე, რომელსაც კაპიტალისა არა გაეგებოდა-რა, იმდენადვე ძვირფასია, რამდენადაც ქ. ლიმბერგერისა...

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ცხინვალის ამბავმა ურიების მკვლელობაზე ძალიან შეაშინა გორის მაზრა. გახურებულმა ტვინმა დაჰბადა ათას ნაირი დაუჯერებელი ზღაპარი ავაზაკობასა და ავ-კაცობაზე. მთელს ხალხს ეს ზღაპარი სინამდვილედ მიაჩნდა და ამაზედ-ღა ლაპარაკობდა, ჩვენს გაზეთს გამოუჩნდა მრავალი შემთხვევითი კორრესპონდენტები, რომელნიც შიშით ზარ-დაცემულნი მოგვითხრობდნენ ათას ნაირ უბედურებასა. ჩვენის მხრით მოვალეობად მივაჩნდა ამისთანა ამბების ბეჭდვა, რომ მიგვექცია ყურადღება ვისიც ჯერ არს. მთავრობამ სასტიკად გამოიძია საქმე და აღმოჩნდა, რომ ეს ამბები მომეტებულ ნაწილად არის ნაყოფი შეშინებულის ტვინისა. ამასვე იწერებიან ჩვენი მუდმივი კორრესპონდენტებიც. უეჭველია, ეხლა მაინც დაწყნარდება შეშინებული ხალხი ზემო-ქართლისა.

*** აი ცხინვალის პოლიციის ბოქაული, თავადი ალექსანდრე ხერხეულიძე გვწერს: თქვენს გაზეთში მოხსენებულია, ვითომც სოფ. ფხვენისში ავაზაკები დაჰხსხმიან გლეხ-კაცის სახლს და მოუკლავთ ქალი თავის ძუძუ მწოვარა ბავშვით. მე, როგორც ადგილობრივი ბოქაული, რასაკვირველია, თვალს ვადევნებ ამისთანა შემთხვევას და უნდა მოგახსენოთ,

## ფელეტონი

„საკვირველებათა ქვეყანა“

მართლა რომ საოცარი ქვეყანაა ეს ამერიკა! იქ არამც თუ მარტო კაცია საკვირველი, თურმე თვითონ ქვეყანაც, იქაური მიწა-წყალიც საკვირველი რამ ყოფილა. იქ თურმე არის ერთი იმისთანა უშენი ადგილი, რომელსაც „საკვირველებათა ქვეყანას“, ანუ ელოუსტონს ეძახიან. მართლადაც, რომ საკვირველებათა ქვეყანაა. ეს ქვეყანა ჩრდილოეთ ამერიკაშია და სიგრძე-სიგანით თითქმის ჩვენს ქართლს უდრის. სიგრძით 94 ვერსია და სიგანით 73. შუაზე მისდევს უზარმაზარის მთების ზურგი, რომელიც მუდამ თოვლით არის დაფარული. ადგილ-ადგილ მაღლა აწოწვილი კლდეებია ცალკ-ცალკე შუბებივით გამწვეტებულები. ზოგან ისეთის უცნაურის სახისა და მოყვანილობისანი არიან, რომ კაცის თვალი ყოველს დახამხამებაზედ ახალს და ახალს სანახაობას ეძლევა. მაღალ მთებიდამა და კლდეებიდამ გადმოჰქუხს და გადმოჰგრიალებს ქექა-ქუხილით მდინარე და წყაროები და მიექანება ღრმა ხეობასა და უფსკრულებში ქაფად-გადაქცეული. მთის წვერებზედ მოფანტულია ტბები, თითქო განგებ დაჩითულიაო; მთის კალთებზე წყაროები მოჰჩანან, თითქო სარტყლებია, მთის თუ კლდის წვერებიდამ გადმოკიდებულიო. აქეთ მიიხედავთ, ცხელი წყლებია; იქით მიდგებით, სავსე აუზებია ანკარა წყლისა; ერთგან შადრევანი სცემს მდუღარე წყლისა, მეორედგან ისმის ბუყბუყი ახტალისა. გამოქვაბული კლდეები, მღვიმეები, გვირაბები, ნაპრალები, რომელთაც არც რიცხვი ეკიდება და ვერც თვალი უძლევს, ათას ნაირს სანახაობას წარმოადგენენ. ერთიდამ წყლის ოშხივარი გამოდის, მეორიდგან გოგირდის ბული და არის ერთი ყოფა და ამბავი. თვალი იფანტება, იკარგება: არ იცის, რას გაუჩერდეს, რას გასწვდეს; სად მშვენიერი მდელოა, მწვანით მოსილი და გადაშლილი, სად ხეობაა, სად პატარ-პატარა ოლეები, მინდვრები, სად ხშირი და დაბურული ტყე, სად ქოჩორა ჭალები,—ყველგან ისეთი სიმშვენიერე, სინაზე და სიკეკლუცეა, რომ თვალი ერთს რომ უყურებს, ნანობს, რატომ იმავე დროს მეორესაც არა ვხედავო.

იქაურ ტყეებში თურმე ზოგან იმისთანა პირუტყვი და ნადირია, რომ სხვაგან, სხვა ქვეყნებში გადაშენებულა და აღარ არსებობსო. ერთის სიტყვით, ამ პატარა ქვეყანაში თითქო ბუნებას განგებ მოუგროვებია ყოველგვარი საკვირველი სანახაობა, რომ ადამიანისათვის თავისი ყოვლად-შემძლებელი ძალ-ღონე ეჩვენებინა. რა მეცნიერება და მხატვრობა გინდათ, რომ აქ თავისი საკბილო და საძიებელი საქმე არ იპოვოს და გონება არ ააყოლოს.

**

ეს „საკვირველებათა ქვეყანა“ დღეს ყორუღსავით შეკრული ქვეყანაა. ჩრდილო-ამერიკის კანონების ძალით ამ ქვეყანაში არავის შეუძლიან დასახლდეს და ბინა დაიდოს. ყველას შეუძლიან მოვიდეს მხოლოდ, ჰნახოს ყველაფერი, მიიარ-მოიაროს და იქ ბინის დადება-კი არ შეუძლიან. ამიტომ ელოუსტონი დღეს ჩრდილო-ამერიკის ერის კუთვნილებად არის გამოცხადებული და საერო წალკოტი ჰქვიან. აი რა არის მიზეზი, რომ ეს ქვეყანა შეუკრავთ: მთავრობას შეჰშინებია, რომ, რაკი ამ ქვეყნის სიმდიდრესა და შვენებას გაიგებენ, ყველა ხარბი და ფულის მოგებისათვის გადაგებული იმ ქვეყანას მიეტანება, ააშენებს იქ სასტუმროებს, დუქნებს, მაღაზიებს, დაიწყობს ბუნების ყვლეფას და წურბელასავით გამოსწოვს ყოველ გვარ სიმდიდრეს, რაც-კი მისთვის ბუნებას ათასის წლობით ასე უხვად მიუნიჭებიაო. ერთის სიტყვით, წაჰპილწვენ ამ წმინდა ალაგს, გადაჰლახვენ და წასწყმენდენ ისე, როგორც ნიაგარის წყალ-ვარდნილს უყვესო. ამისათვის ამერიკის შტატების კონგრესმა დაადგინა 1872 წელსვე: „ელოუსტონის დასახლება აღკრძალულია. ამ ქვეყანას ვერც არავინ გაჰყიდის და ვერც არავინ დაუთმობს ვისმე. ამიერიდგან ეს ქვეყანა საზოგადო კუთვნილებაა, რომელიც უნდა იყოს შენახული ერის გასართობად და სასარგებლოდ. ვინც დაარღვევს ამ კანონს, დაისჯება და განიდევნება ელოუსტონიდამ“.

**

აბა ახლა ჩვენც ავდგეთ და მოვიაროთ ეს ქვეყანა თუ ფეხით არა, აზრით მაინც და გონების თვალ-წინ მაინც დავიყენოთ ისე, როგორც მართლა არის და სწერენ კიდეც. ჯერ სანამ ამ უცნაურს ქვეყანაში მივალთ დიდი და ტრიალი მინდორი უნდა გავიაროთ რკინის-გზით. ჯერ ამ მინდორზედვე უცნაური სანახაობა დაგხვდება. უცებ შეჰხედავთ, რომ ტაშივით დაცემულს ვაკეზედ ამართულია თქვენ წინ დიდი და უზარმაზარი. ათას-ფრად დაფერილი ციხეები მთებისა, პირამიდები, კლდის მშვენიერი სვეტები, საოცარი კამარა შეკრული თაღები, გუმბათები, ნანგრევი ციხე-დარბაზები, მაღალი კოშკები სათოფურებითა და სხვა-და-სხვანი. თქვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს. გიკვირთ და იოცებთ მით უფრო, რომ ყველა ეს მთანი და კლდენი, მთელი ეს ახირებული ხანახაობა, ეს ციხე-დარბაზები და კოშკები ასეთს ტრიალს მინდორზედ გაჩენილან. ყველა ეს ხელთ-უქმნელია, ბუნების შექმნილია და ადამიანის ხელს აქ ერთი ქვა მეორე ქვაზედაც არ დაუდვია.

აი, გაიარეთ ეს ალაგებიც, რომელსაც აქაურმა ინდიელებმა „ავთასულთა“ სამფლობელო დაარქვეს, და მიადექით უზარმაზარს. ზღუდეს კლდისას, რომელსაც არსაიდამ მისავალი არ უჩანს. მხოლოდ ერთგან ელოუსტონის მდინარეს გამოურღვევია კლდე გვირაბივით და მდორედ მოდუდუნებს ტრიალს მინდორზედ. გახვალთ ამ გვირაბში და მიადგებით მშვენიერს გადასახედს. თქვენ თვალ-წინ გადაი-

რომ ერთობ გაზვიადებულ ამბავსა გწერენ და ამით ავრცელებენ ხალხში უსაფუძვლო შიშს. არც ფხვენისში და არც სხვაგან ცხინვალის მიდამოში არა მომხდარა-რა, გარდა იმ შემთხვევისა, რომ ორი ურია მოჰკლეს ცხინვალში. ფხვენისის მოწერილი ამბავი არის მოგონილი თვით კორრესპონდენტისაგან.

*** გარდა ამისა თვით ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი აცხადებს გაზ. „Кавказъ“-ში: «არავითარი ბრბო ავაზაკთა არ შემდგარა გორის მაზრაში. არიან მხოლოდ ორი-სამი ბოროტ-გამზრახველნი, რომელნიც იმალებიან ყორნისის და თორმანეულის ტყეებში, ან მათ ახლო-მახლო. მასთან ამ ბოროტ-გამზრახველთ აი რა ჩაუდენიათ—15 აგვისტოს მოუკლავთ ცხინვალის მცხოვრებნი დავრიშვილები და 22 აგვისტოს ალისა და წალვლის სასოფლო თემებში მოუკლავთ და გაუცარცვავთ ორი დედაკაცი, მომავალნი ქუთაისის გუბერნიიდამ; აგრეთვე დაუჭრიათ ერთი იმერელი. თუ აქამდის პოლიციამ ვერ დაიჭირა ავაზაკები, ამისი მიზეზია თვითონ სოფლის ხალხი, რომელიც გულ-გრილად ეპყრობა პოლიციის განკარგულებასა. ახლა-კი სასტიკი ღონის ძიებაა მიღებული ავაზაკთა დაჭერისათვის. თავის დროზე გამოცხადებული იქმნება, რასაც პოლიცია აღმოაჩენს.»

*** გურიიდამ გვწერენ: სოფელი ჯვარცხმაც აპირობს სასოფლო სკოლის დაარსების საქმეს შეუდგეს. ან კი რად უნდა ჩამორჩეს ეს სოფელი გურიის სხვა სოფლებს, სადაც უკვე გამართული აქვთ სკოლები და სადაც ყველა ყმაწვილი, ქალი და ვაჟი, სწავლობს წერა-კითხვასა. ჩვენის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდია; მარტო გლეხობა 300 კომლამდეა. და თავადი, აზნაური და სხვა წოდების ხალხი კიდევ სხვა არის. მაშასადამე, ერთის სკოლის დაარსება და იმის ხარჯის გაძღოლა არ უნდა გაგვიჭირდეს. ამიტომ ვითავეთ კიდეც ეს სასარგებლო საქმე. პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა ჩიგოგიძემ დიდი დახმარება გაგვიწია ამ კეთილს საქმეში. იმის რჩევითა და მონდომებით ჩვენც შევადგინეთ განაჩენი. ეს განაჩენი კიდეც დაამტკიცა მთავრობამ და დღე-დღეზედ მასწავლებელსაც მოველით. სახლი სკოლისათვის და ყოველი სასკოლო მოწყობილობაც უკვე მზადა გვაქვს. ღმერთმა ჰქმნას, რომ ამ საქმეს ბოლო კეთილი ჰქონდეს და ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მოეტანოს.

*** გაზეთებში იყო ამას წინად მოხსენებული, რომ ორნი გერმანიელნი, რომელნიც ფრანკფურტიდამ მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ზედ იალბუზის მთის წვერზე სვანეთში ავიდნენ და გამოიკვლიეს ამ მთის ვითარებაო. ამ ორმა მოგზაურმა სცადა აგრეთვე ასულიყო ყაზბეგის მთაზედაც. ავიდნენ კიდეც 12,000 ფუტის სიმაღლეზე, მაგრამ მთაზე ნამქერი დაიწყო და იძულებულნი იყვნენ უკანვე დაბრუნებულიყვნენ. მოგზაურნი ამ დღეებში კახეთში წასულან და იქიდამ თეირანს აპირობენ წასვლას. ამ მოგზაურთ უნდათ ავიდნენ სპარსეთის მთაზე, სახელად დემავენდზე, და გამოიძიონ ამ მთის ვითარებაცა. იქიდამ სტამბოლში წავლენ, შევლიან საბერძნეთში და მერე ოქტომბრის გასულს დაბრუნდებიან ისევ გერმანიაში.

*** ჟურნალ „Цер. Прих. Школа“-ში სწერია, რომ საქართველოს საექზარხოსოში 82 სამრევლო სკოლაა და მოსწავლეთა რიცხვი 3,419. გაზ. „მწყემსის“ აზრით, ამაზე უფრო მეტია ჩვენში სამრევლო სკოლათა რიცხვიო.

*** გაზ. „მწყემსში“ ვკითხულობთ: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ აზ. ბ-ნი იოსელიანი შერიგებია იმერეთის ეპარქიის სასულიერო მთავრობას წმინდა სანთლის ქარხნის გამართვას ქუთაისში. ხსენებულმა იოსელიანმა, თავის პირობისამებრ, სამღვდელოებას ფუთი წმინდა სანთელი 27 მან უნდა აძლიოს. ძლიერ საეჭვოდ მიგვაჩნია ჩვენ, რომ ეს პირობა ასრულდეს, თუმცა ამ საგნის შესახებ პირობანი შედგენილნი და ხელ-მოწერილნიც არის უკვე“.

## ნავთის სამეფოდამ

ჯერ თითქმის მესამედიც ჩვენმა გაგიჟებულმა ნავთის შადრევანმა და არც ჰქნა, არ დასცხრა, არ შესდგა.

ერთი რუსული ანდაზა გვსწავლის, „სასაცილოა, როცა ხარაზი ქუდების ცხობას დაიწყობს და ქუდების მცხობელი წაღების კერვასაო“, და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ უფრო სასაცილო არ გამოდის, როცა ეს ხარაზები გაგიჟებულის, და მერე ასე გაგიჟებულის შადრევანის დასაცხრომად სადილობენ?! რა ჯურის მოსულე გინახავთ, რომ ამერთის თავის განმავლობაში არ ეცადნოს თავისი ხელობა, არ შეეცდოს მალ-ღონე ამ შადრევანის შესაყენებლად; იყვნენ ხურო-ხარატნიც, მჭედელ-ნალბანდნიც, ბევრნი სხვანიც და ბოლოს რიგი ხარაზებზე მიდგა. საწყალნი! მოამზადეს ლანჩა და შპილკები და, თქვენს მტერს, როგორც მოიტაცა შადრევანმა მათი მოწყობილობა... ამის შემდეგ მობრძანდა ვიცე-გუბერნატორი (გუბერნატორი აგარაკად გახლავთ) და ვალად დასდო ინჟინერ შჩასტლივცევს, რომელიც განაგებს აქ სამთო ამხანაგობის ქონებას, მოკლე ვადის განმავლობაში დასცხროს უმეზღვოდ შადრევანი... ძლიერ ხელ-საყრელი იქმნებოდა თვითონ ამხანაგობისათვისაც, რომ შესძლებოდათ აქამდისაც შადრევანის დაცხრომა: ნავთი ბევრს სიკეთეს ჰკარგავს იმისგამო, რომ ჰაერში იფანტება: ეთერს, სიმსუბუქეს ჰკარგავს და მაწაზედ მძიმე ნავთად გსხმის, და ასეთი მძიმე ნავთი ხომ თითქმის სულ გამოუსადეგარია... ეს არის მიზეზი, რომ ამ შადრევანის ნავთს არავინ ღებულობს, გარდა ორი-სამის კომპანიისა და ისინიც მიუცილებელ საჭიროების გამო, რადგან ამ შადრევანის წყალობით იმათის შადრევანის წარმოება შეყენებულია.

მხოლოდ დღეს-კი ამოისუნთქეს ვითომ ცოტაოდნი წვრილმა ფირმებმა, რომელთა მამული ამ შადრევანს გარს არტყია. სამაგიეროდ თავისუფლად ამოსუნთქვისა გახლავთ ის, რომ დღეიდამ შეანძრა სამა დიდი ფირმა: ნობელისა, როტშილდისა და ცატუროვისა, რომელთაც მიჰყვეს ხელი და თავს იდვეს გაგიჟებულ შადრევანის დაცხრომა. ზედამხედველადაც ცოტად თუ ბევრად განვითარებული კაცი დააყენეს თავს მუშებს, ასე რომ ამ ჯერად იმედი დიდია და ვნახოთ, რას გაჰხდება „სამი დიდი ფირმა“. ამ სამმა ფირმამ ძლიერ მჭიდროობით კეთილ-ინება და შესწყნარა სტიქიონის წინააღმდეგ საბრძოლველად. მართლაც:—ე სტიქიონის ძალი დიდი საბუთი გახდა სამთო ამხანაგობისათვის. სტიქიონის ძალის და კანონიც ვერაფერს მიუსაჯებს დაზარალებულს ფირმებსაო,—ამბობენ ზოგიერთები სამთო ამხანაგობას საწუხვებლოდ; მაგრამ ზოგიერთნი გულ-კეთილნი არც დაზარალებულთა სტოვებენ უწუგეშოდ: აქ სტიქიონის ძალს რა ხელი აქვსო, ამბობენ ისინი. წინდაწინვე შეიძლებოდა და მალიან ადვილადაც შეიძლებოდა, სამთო ამხანაგობას ისეთი ღონის-ძიებანი ეხმარა, რომ ამ ძალას არ ეჩინა თავიო, და ამას გარდა,—რა სტიქიონის ძალია ის ძალი, რომ უბრალო დურგალმა თითქმის 15 საათის განმავლობაში შეაჩერაო და რომ ამხანაგობას მასალა მიეწოდებინა, ვინ იცის, დღესაც შეჩერებული იქნებოდაო. ერთის სიტყვით, მცოდნე კაცები მოგახსენებენ, და რაც მცოდნე კაცი უნდა, ყველა თვალით ჰხედავს, რომ თუ ყველა დასიდულ-დაქციულ და დანავთულ ადგილებს გაწმენდა მოსთხოვეს ამხანაგობას და დღევანდელ ზარალს სხვა ზარალიც მიუმატეს, ამხანაგობამ აქედამ მიუცილებლად ბარგი უნდა აიკრიოსო.

გაცნობებთ, რასაც სამი დიდი ფირმა გადასწყვეტავს. ვეცხეცხებთ შიშით, ერთი აღი რო ავარდეს სადაც უნდა იყოს, წამოსაშინელ სახმილად გადიქცევა და სრულიად ბალახანისა და საბუნჩის გადარჩენაც საეჭვო იქნება.

დ. მესხი

აგვისტოს 31
ბალახანა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი. „Моск. Вед.“-ი სცდილობს აუხსნას მკითხველებს, რა აზრი აქვს გერმანიას, რომ ეს სახელმწიფო დღეს ასე მხარს აძლევს რუსეთს ბოლგარიის საქმეში.

ჭეშმარიტი აზრი ბისმარკის პოლიტიკისაო, ამბობს გაზეთი, ეხლა დაფარული ალარავისთვის არ არის. ბისმარკი განგებ გვიმეგობრდება და ამ ტყუილის მეგობრობით უნდა, რომ დიდხანს გააჭიანუროს ბოლგარიის საქმე, ესე იგი იმ დრომდე, ვიდრე ასე თუ ისე ავსტრიის ინტერესი გაიმარჯვებს ბოლგარიაში; ამას გარდა ბისმარკს უნდა, რომ დავუთმოთ რამე გერმანიას იმ მეგობრობის სამაგიეროდ, რომელსაც გვიწევს ვითომ დღეს; მაგრამ ბისმარკს სხვა ტკივილიცა აქვს და ეს ტკივილი უნდა დაიამოს ჩვენის შემწეობითა. ეს ის ტკივილია, რომ რუსეთი და საფრანგეთი დღეს კარგად არიან ერთმანერთშიგანწყობილნი. ბისმარკს ყველაზედ მომეტებულად ამ ორის დიდის სახელმწიფოს მეგობრობის ჩაშლა უნდა.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია აზრი „Моск. Вѣд.“-ისა. რუსეთის სადიპლომატო გაზეთი „Journal de S-t-Petersbourg“ იკი ჰფიცავს, რომ გერმანიისა და რუსეთის მეგობრობა გულ-წრფელი მეგობრობაა და სრულიად არავითარი საბუთი არა გვაქვს არ ვენდობოდეთ ამ შემთხვევაში ბისმარკის პოლიტიკასაო.

**

გაზ. „Новости“ დღეს კიდევ დაუბრუნდა ერთს საყურადღებო საგანს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ვითომ სახელმწიფო სამსახურისათვის მომზადებულნი და ნასწავლნი უნივერსიტეტებში უფრო ბევრია, ვიდრე საჭიროა სახელმწიფოსათვის.

ბევრი გაიკვირვებსო,—ამბობს გაზეთი, რომ ვითომ რუსეთში,—ესე იგი, ისეთს ქვეყანაში, რომელსაც საზოგადოდ ძალიან ნაკლებადა ჰყავს განათლებული და ნასწავლი ხალხი,—უფრო მეტი იყოს სამსახურისათვის მცოდნე და მომზადებულნი კაცნი, ვიდრე საჭიროა სახელმწიფოსათვის.

მაშ ნუ თუ მართალია, რომ რუსეთს განათლებული ხალხი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე საჭიროა ქვეყნისათვის? გაზეთი პასუხად გვეუბნება, რომ

გვარწმუნებენ, ვითომ ჩვენშიაც ბევრნი იყვნენ ნასწავლნი და მცოდნენი, მაგრამ სამუშაო-კი არავითარი არა ჰქონ-

---

შლება მშვენიერი ხეობა, რომელიც ოდესღაც, როცა ელოუსტონის მდინარეს გასავალი არა ჰქონია, ტბა ყოფილა და ახლა-კი ტყითა და მწვანით არის საამურად მორთული. გაივლით ამ ხეობას და დაგხვდებათ მეორე მთის კედელივე. ეს კედელიც გამოურღვევია მდინარეს, რომელიც საშინელის სიჩქარით მორბის და მოჰშუის. გაივლით ამ მეორე გვირაბს და შეხვალთ კიდეც დიდს უშველებელს ხევნარში. აქ დაგხვდებათ მშვენიერი სასტუმრო დასასვენებლად. სასტუმროდამ დაინახავთ პირველს სასწაულს ელოუსტონისას, სახელდობრ, ათასსა და ათი ათასს წყაროს, მოფენილს მთების კალთებსა და ფერდობებზე. თითქმის ყველა ეს წყაროები ცხელი წყაროებია; წყაროები ძალიან ღრმა ადგილებიდამ ამოსჩქეფს და, რადგანაც მიწის გულში გზა-და-გზა სხვა-და-სხვა გვარისა და ფერის მიწასა ხვდება, თან ამოაქვს და ჰღებავს მრავალ ნაირის ფერით კლდის ფერდობებს. ზოგან წყაროს გარშემო მიწას ბამბასავით თეთრი ფერი აქვს, ზოგან ჭიაფერივით წითელი, ზოგან—ყვითელი, მწვანე, პირის-ფერი და სხვანი. ზოგი წყარო ისე ცხელია, რომ 25 გრადუსი სითბო აქვს, ზოგს კიდევ—30, ცელსის თერმომეტრით რომ გასინჯოთ. ზოგი ისე ცხელია, რომ დუღს შიგ წყალი. ხშირად ამ გვარი ცხელი წყაროები ზედ მდინარის ნაპირზეა. თითონ მდინარეში მიდის სეტყვასავით ცივი წყალი, რომელიც კალმახებით არის სავსე და იქავ ნაპირას ორ ნაბიჯზე-კი ასეთი ცხელი წყაროები ამოჩუხჩუხებს. მოდით და ამისთანა ამბავს სასწაულად ნუ ჩასთვლით, ნუ გაგიოცდებათ, რომ ყინული და მდუღარე ორ ნაბიჯზედ ასე თავისუფლად მოთავსებულან. ზოგიერთი მეტად ახირებულის ხასიათების ინგლისელები და ამერიკელები ხშირად მარტო იმიტომ მოდიან აქ, რომ ჰნახონ ეს საკვირველება და გული გაართონ თავისებურად. ამისთანა უცნაურები იჭერენ ნევსკავით კალმახს მდინარეში და თევზს ცივის წყლიდამ ამოღების უმალვე ნევსკავითვე იქავ ჩასდებენ ცხელს წყაროში, სადაც ერთს წუთს იხარშება და მერე შეექცევიან გემრიელად.

იჰ, საყვარელო?.. იმ დალოცვილს ღმერთს რაღა იქ გაუჩენია ამისთანა ქვეყანა? ამერიკელები ისეც მდიდრები არიან: შეშაც ბევრი აქვთ, რომ წყალი ადუღონ, ფულიც ბევრი აქვთ, რომ ცხრა-მთას იქიდამ თევზი მოატანინონ? ი დალოცვილს ღმერთს აქ ჩვენში გაეჩინა ის ქვეყანა, რომ ჩვენი ქართველი კაცი იმ წყლებ-შუა ლაზათიანად გაშხლართულიყო, მარჯვნივ ცივს წყალში კალმახი ნევსკავით ეჭირა, მარცხნივ მზა-მზარეულად ადუღებული წყალი ჰქონოდა, და ტანის გაუნძრევლად ისე მწოლიარესვე და გაშხლართულს ცივ წყლიდამ კალმახი ამოეღო და ცხელს წყალში ეხარშა. რას იტყვი, მკითხველო, უფრო მადლი არ იქნებოდა! და თუ თავით კახური ღვინოც შადრევანით ამოვიდოდა, რომ დაღეპულის პირის მიშვერის მეტი არა დასჭირდებოდა-რა, ძაღლი დაჰყებდა-ღა მაშინ ჩვენს ბედს?!

* *

თუ გვკითხავთ, ამ შემთხვევაში არც ამერიკელები ყოფილან ჩვენზედ ძალიან მეტად წინ-წასულნი, თურმე ნუ იტყვით, ასეთი ქვეყანა ჰქონიათ და ამ 20 წლის წინად ამ ქვეყანაზე ისე არა სცოდნიათ-რა, როგორც ქართველმა თავისისა დღესაც არა იცის-რა. დიაღ, ბატონებო, სულ 20 წელიწადია მხოლოდ, რაც შეიტყეს, რომ იქ ამისთანა ქვეყანა ყოფილა. განაპირა ქვეყანაა თურმე და კაცი ადვილად ვერ მოხვდება, თუ განგებ არ წავიდა, ათასში ერთხელ თითოოროლა გზა-დაკარგული მონადირე მიაწყდებოდა, ან გაქცეულს ნადირს რასმე გადაჰყვებოდა, მაგრამ ისიც-კი გაოცებული და შეშინებული ამ ქვეყნის უცნაურ და საკვირველ სანახავებისაგან, საჩქაროდვე გამორბოდა უკან ამ მშვენიერ და საკვირველ, მაგრამ უშენ და უდაბურ ქვეყნიდამ. აქედან მისულნი მონადირენი ბევრს საკვირველებას უამბობდნენ ხოლმე თავიანთ ნაცნობებსა და მახლობელთა მაგრამ აბა მონადირეებს ვინ რას დაუჯერებდა. ხომ მოგეხსენებათ, უამისოდაც კვეხნისა, ტრაბახობის და ტყუილის ხმა აქვთ დავარდნილი და რასაკვირველია, იმათი ნათქვამი და ნალაპარაკევი ტყუილის გუდაში ჩასადებ ამბავად მიაჩნდა ყველას. ისეთის ზარ-დამცემ ბუნების საკვირებლებანია თურმე მოფენილი ამ ქვეყანაში, რომ თვით იქვე ახლო-მახლო მცხოვრებნი, ამერიკის მკვიდრნი ინდიელნი „ჯოჯოხეთის ბჭეს“ ეძახიან და ახლოს არ ეკარებიან შიშისა და ზარისაგან, რადგანაც ამ ქვეყნის საკვირველებათათვის გონება ვერ მიუწვდენიათ და ვერ აუხსნიათ.

ესე იცის მტკნარმა უვიცობამ, რაკი გონება ვერ მიუწვდენია, თვით ამისთანა სამოთხეც კი ჯოჯოხეთის ბჭედ მოსჩვენებია. რომ მართლა სამოთხეა ეს ქვეყანა თვალ-ახილებულ გონებისათვის, ამის საბუთად ესეც გვეყოფა, რომ 1885 წელს 10,000-ზე მეტი მოგზაური კაცი მიუხვედნია ევროპიდამა და ამერიკიდამ. ეხლა ასზედ მეტი თხზულებაა ამ ქვეყნის გამო დაწერილი. ეხლა ყველასა სჯერა, რომ ზღაპარი არ არის, რაც თქმულა და დაწერილა ამ ქვეყნის თაობაზე. დღეს ასეთი ხმა დავარდნია ამ ქვეყანას, რომ ვისაც-კი ორიოდე გროში აბადია, ყველა მიისწრაფის ამ ქვეყნის სანახავად, რასაკვირველია, ჩვენის კაცის გარდა, რომელსაც თუ ერთი-ორი გროში გაუჩნდა, ქალაქში ჩამოდის სან-სუსის სანახავად და ბაღებში საქეიფოდ.

ამ ქვეყნის ამბავი შევხვდა ერთს რუსულს გაზეთში და გვგონია, რომ მეტი არ იქნება, ჩვენმა მკითხველებმაც შეიტყონ რამე ამ ქვეყნისა და თუ მეტია, ნურას უკაცრავად.

გაზეთი იხსენიებს, რომ ბევრი სხვა საკვირველებაა თურმე ამ ქვეყანაში და გვპირდება, რომ, როცა იქნება, დანარჩენსაც გაცნობებს.

დეთ, თავიანთი სწავლა ვერ გამოეყენებინოთ ცხოვრებაში და გულ-ხელ-დაკრეფილნი ისხდნენ მშიერ-მწყურვალნიო.

ამ საგანზე ჭეშმარიტი ცნობანი არავის შეუგროვებია, ისე რომ ციფირებით ვერ დაამტკიცებს კაცი, მართლა ასეა თუ არა; მაგრამ ჩივილი-კი რომ ისმის ადგილების უქონლობაზე ნასწავლთა და მომზადებულთათვის, ეს ყოველ ეჭვ გარეშეაო.

ბევრი ნასწავლი უჩივის დღეს თავის გაჭირებულს მდგომარეობას, ეძებს ალაგს და ვერ უშოვნია. ბევრია ექიმი, რომ სილარიბისათვის თავი ვერ წაურთმევია; რამდენი იურისტი ზის უსაქმოდ და რამდენი ნასწავლი ტეხნოლოგი ელის ადგილს და ადგილი-კი არა ჩნდება.

რა არის მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა?

ამბობენ, ვითომ მიზეზი ის არის, რომ ნასწავლი ხალხი მაზრას, სოფელს, სამაზრო ქალაქსა და დაბებს არ ეტანება, თორემ იქ ყოველთვის იშოვიდა საქმეს, გამოიყენებდა თავის სწავლასაცა და სასყიდელსაც საკმაოდ აიღებდა თავის შრომისათვისაო.

მაგრამ ეს აზრი შემცდარი აზრიაო. მაზრაში საქმე იქნება ბევრი იყოს, მაგრამ სასყიდელს-კი ნასწავლი კაცი იქ ვერას მიიღებს თავის შრომისათვისაო.

რაც უფრო ღარიბია და უმეცარი ქვეყანა, მით უფრო ნაკლებად აფასებენ ნასწავლსა და მით უფრო ნაკლებ იმეტებენ მცოდნე კაცის შრომისათვის სასყიდელსაო.

ამ სახით, გამოდის, რომ ხშირად ნასწავლი კაცი მშიერია და ცოდნა კაცს ლუკმა პურს არ აჭმევს. ჭეშმარიტი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა, გაზეთის აზრით, ის არის, რომ ჩვენს სასწავლებლებს წოდებრივი ხასიათი აქვთო.

ჩვენი ცდა და ღონე ამ ჟამად იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ შეგირდს ადვილად შეეძლოს ისეთი სწავლა მიიღოს, როგორიც იმის ბუნებას უფრო შეეფერება. ყოველთვის ყმაწვილობაში და სიჭაბუკეში მოსწავლეს უნდა შეეძლოს გამოიცვალოს სასწავლებელი და იქ შევიდეს დაუბრკოლებლივ, სადაც უფრო სურვილი აქვს. ამერიკაში საქმე დიდი ხანია ასეა მოწყობილი. იქ ყველა სასწავლებელთა შორის დამოკიდებულება და კავშირი არსებობს. ევროპაში-კი ასე არ არის. თუ ყმაწვილი, ვსთქვათ, გიმნაზიაში მოჰყვა, უთუოდ ან მოხელე უნდა გამოვიდეს, ან ექიმი, ან იურისტი.

საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველა ერთ საგნისკენ-კი არ უნდა მიიზიდებოდეს და ავსებდეს ყველა ალაგებს და მეორე საგნისათვის-კი ორი კაციც არ იყოს მომზადებული და საკმაოდ დახელოვნებულიო.

---

## უცხოეთი

საფრანგეთი. საერო განათლების მინისტრმა შეიტანა ის აზრი, ვითომ საჭიროა შემცირება იმ შემწეობისა, რომელსაც მმართველობა დღემდის იძლევა საზოგადოდ საერო განათლებისათვის. საშუალო ლიცეიებისათვის შემცირებულ უნდა იქმნას 800,000 ფრანკამდე, ხოლო პირველ-დაწყებით სწავლა-განათლებისათვის-კი 4 მილიონამდეო. გარდა ამისა, მინისტრის აზრით, საჭიროა შეამცირონ 150,000 ფრანკამდე ის ჯამი, რომელიც ეძლევა საშუალო სასწავლებლებს სტიპენდიებისათვის.

ყოველივე ესე, მინისტრის აზრით, საჭიროა, რადგანაც ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში იმოდენად გამრავლდა ნასწავლ-პირთა რაოდენობა, რომ მათთვის შეუძლებელია ლუკმა-პური მოიპოვონ სწავლა-ცოდნით. იმის მაგიერ რომ ყმაწვილ-კაცობამ ვაჭრობას და მრეწველობას ხელი მოჰკიდოს და ამით თავი ირჩინოს, იგი მისდევს თვისის მდგომარეობის შეუფერებელს სწავლასა და ამიტომაც უკიდურესს მდგომარეობაში ვარდებაო. გარდა ამისა ყველას იმდენი ნიჭი არა აქვსო, რომ უმაღლესი სწავლა შეიძინოსო. ერთის სიტყვით, მინისტრის სპიულერის პროექტის აზრი ის არის, რომ ღარიბ მშობელთა ბავშვებს მოესპოთ საშუალება საშუალო და უმაღლესი სწავლა მიიღონ.

სპიულერის პროექტმა დიდი ლაპარაკი და ბასი გამოიწვია საფრანგეთის მწერლობაში. რეაქციონური და კლერიკალური გაზეთები სპიულერის აზრისანი არიან და დიდს თანაგრძნობას უცხადებენ მინისტრის პროექტს. სამაგიეროდ, რესპუბლიკანელი გაზეთები-კი ეწინააღმდეგებიან სპიულერს და ამბობენ, რომ იმისა პროექტი ყოვლად მავნეა საერო განათლებისათვისაო. ზოგნი ამას ამბობენ, რომ თუ საშუალო და მაღალი განათლება შემცირებული იქმნება, საჭიროა სამაგიეროდ გავამრავლოთ სატეხნიკო, სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებლები და მხოლოდ ამ პირობით შესაძლოა შევიწყნაროთ მინისტრის პროექტიო.

საფრანგეთის და გერმანიის გაზეთები ბევრსა ლაპარაკობენ საფრანგეთის ჯარის მობილიზაციაზე. საფრანგეთის მწერლობა ამბობს: მობილიზაციამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ჯარი კარგად მოწყობილი არისო; გერმანელნი გაზეთები-კი სწერენ, ვითომ ამავე მობილიზაციამ დაამტკიცა, რომ საფრანგეთის ჯარი სრულიად მოუმზადებელია ომისათვის. ვის უფრო დავუჯეროთ, ჯერ-ჯერობით ძნელად გამოსაცნობია. ზოგნი იმ აზრისანი არიან, ვითომ გერმანიას უნდა დაარწმუნოს საზოგადოება, რომ საფრანგეთი უძლურია და ამიტომაც საშიშარი არ არისო... ამბობენ, რომ გერმანელ გაზეთების ცნობები მობილიზაციის შესახებ არ ეთანხმებიან სინამდვილესაო...

---

## წვრილი ამბები

— პროფესორ მიგუელ მარტცას რიბასის ხეობაზე (ისპანიის გერონის პროვინციაში) აღმოუჩენია მთელი თემი ქონდრის კაცებისა, რომელნიც სიმაღლით 1½—2 ადლზედ მეტნი არ არიან. ამ ქონდრის კაცებს ქერა თმები აქვთ, მკლავები სახეზედ გამოკვარდნილი, და თვალები მონგოლთა თვალებს მიუგავთ. ცხვირით თითქმის ყველანი პაჭუები და ნიდაიები არიან. პირზე ბალანი თითქმის არავისა აქვს, არც ახალგაზრდათ და არც მოხუცთ.

— პროფესორ ბერგმანის სამკურნალოში მისულა ერთი ახალგაზრდა ვაჭარი დასიებულის ხელით. ამ ვაჭარს ხელი უბრალოდ გაუკაწრავს რითიც; როცა სისხლი შესწყვეტია, ყომრალი ხელ-თათმანი ჩაუცვამს გაჭრილს ხელზედ და რამდენიმე საათი უტარებია. ამ რამდენისამე საათის განმავლობაში ხელი საშინლად დასიებია. ვაჭარი სამკურნალოში მისვლის მეორე დღესვე გარდაცვლილა. ექიმებს გარდაცვალებულის გვამი გაუსინჯავთ და გადაუწყვეტიათ, რომ ვაჭარს სისხლი მოწამლული ჰქონიაო. ის ხელ-თათმანი, რომელიც ვაჭარს ჩაუცვამს, ხნოს ტყავის ყოფილა და იმის მოქნის დროს სხვათა წამალთა შორის დარიშხანაც უხმარიათ.

— იტალიაში, როცა მატარებელი გვირაბში გადიოდა, კონტრონის რკინისგზის სადგურს ახლო, ერთმა კონდუქტორმა მოიწადინა თურმე ერთის პირველ კლასში მჯდომარე ახალგაზრდა ქალის გაუპატიურება, მაგრამ ქალი არ დანებებია; ბრაზ-მორეულს კონდუქტორს უტაცნია ხელი ქალისათვის და ვაგონიდგან გადმოუგდია. საბრალო ქალს დაუწყია ყვირილი და შველის ძახილი. მისდა საბედნიეროდ, ქალის ყვირილისათვის ყური მოუკრავთ, მატარებელი შეუყენებიათ და გასისხლიანებული ქალი ვაგონში შეუტანიათ. დამნაშავე იქავე დაუპატიმრებიათ.

— ჯალათი საფრანგეთისა დეიბლერი, რომელმაც ამას წინაც პრანცინი დასაჯა და თავი მოჰკვეთა, ძალიან ცუდად უკრავს ჭიანურზე. ამ მხრივ მისი ამხანაგი, ლონდონის ჯალათი, უფრო მოხერხებული და საქმიანი კაცია; ამას გარდა ლონდონის ჯალათი დალაქია და მჭევრმეტყველი მქადაგებელი. ჭეშმარიტად, ეს კაცი ისეთი კაცია, რომელიც ჰზრუნავს ადამიანის ხორცსა, სულზედ... და ამავე დროს თავის მახლობელის თავზედაც.

— აღლუმის დროს იაშერინისში, უნგრიაში, დინამიტმა იფეთქა და, სხვათა შორის, იმსხვერპლა უნტერ-ოფიცერი გეორგი კოვაჩი. ამ კოვაჩს სიკვდილს შემდეგ დარჩა ერთი მოხუცებული დედა და რვა წლის ქალი, ყოვლად უნუგეშონი და უშემწეონი (ცოლი ადრევე ჰყავანდა გარდაცვლილი). დიდხანს იბრძოდა საბრალო მოხუცებული დედაკაცი, არავითარსამე შრომას არა თაკილობდა, მაგრამ ბოლოს სულ ერთიანად გაღატაკდა და სულს იქით აღარა მოეპოვებოდარა. მოწყალების სათხოვნელად ხელს ვერ გაიშვერდა, და ბოლოს გადასწყვიტა, რომ მეფესა ვსთხოვ შემწეობას, მეფეს, რომლის დიდ-სულოვნებასა და კეთილს გულზედ ყველა ლაპარაკობსო. თავის სახელით შემწეობას ვერა სთხოვდა მეფეს, და ამიტომ რვა წლის ქალმა კოვაჩისამ თავის ხელით დაწერა თხოვნა და ქვეშაც თავისივე სახელი მოაწერა. ამ თხოვნაში ბავშვი მოუთხრობდა მეფეს მამის სიკვდილის გარემოებას და შეამდგომლობდა, რომ მეფემ ქალად ამიყვანოსო. თხოვნის გაგზავნის რამდენისამე კვირის შემდეგ, ამ ქალთა ღარიბს სახლში მეფის მიერ გამოგზავნილი იყო ბარათი, რომ, ჩემდა სამწუხაროდ, ობოლს ვერ ვიშვილებ, ხოლო თავს ვიდებ, რომ 480 მან. დაუნიშნო წელიწადში პენსიად იმ დრომდე, ვიდრე თვრამეტის წლისა შეიქმნებოდესო. თქმა არ უნდა, რომ მოხუცებული ძალიან მადლიერი იყო მეფისა ასეთის მოწყალებისათვის.

— საფრანგეთის სამხედრო მინისტრს უბრძანებია მე-9 არმიის კორპუსის კომანდირისათვის, რომ მომავალ აღლუმების დროს ომისათვის სახმარებელი ძაღლებიც უნდა გამოცდილ იქმნასო. თითოეულს რაზმზე ოთხ-ოთხი გაწვრთნილი ძაღლი უნდა იყოს სამხედრო საქმისათვის მომზადებულიო. ბრძანებაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ძაღლებს კარგად უნდა მოექცეთ და კარგად ასვამ-სჭამოთო. თითოეულს ძაღლზედ თითო-თითო ჯარის-კაცი უნდა იყოს გამწესებული მეთვალყურედაო.

— პარიჟში ამას წინად საშინელი მკვლელობა მოხდა. მკვლელი ვიღაც პადრონეა, რომელსაც თავისი ცოლი და ორი შვილი მოუკლავს. პადრონე ხელთ-ქმნილ თვალების ჩამსხმელი იყო და ამ ბოლოს დროს ძალიან მოჰკლო ხელი სიმთვრალეს. შაბათს საღამოს რამდენჯერმე წამოდგა საწოლიდგან და სვამდა; შემდეგ, დილის ექვსს საათზედ, ცოლს დამბაჩა ესროლა—მოკლა და ორს მძინარე ყმაწვილს-კი ყელები გადაჰჭრა. მოხდეს გაეგო თუ არა ეს ამბავი, პადრონე დამალულიყო სარდაფში, სადაც დაიპატიმრეს. დაპატიმრების დროს „ღვინო მინდა დავლიოო" ეთქვა პირველადვე ავაზაკს. სასამართლოში ამტკიცებდა თურმე, რომ ვიღაცის შთაგონებით და ზედმოქმედებით დავხოცე ცოლ-შვილიო.

— ახირებული დუელი მოხდა ამას წინად მექსიკაში. მოპირდაპირენი დაამწყვდიეს თურმე ბნელს ოთახში, რომელიც გესლიანის ბაბაჭუებით (тарантулъ) იყო სავსე. ორივეს ეს ბაბაჭუები უნდა დაეხოცნათ. როცა კარი გააღეს, ორივე მებრძოლნი მკვდრები ეყარნენ.

— ისე დღე არ გაივლის, რომ ბელგიის გაზეთებში დაბეჭდილი არ იყოს ამბავი რომელისამე საშინელის ავაზაკობის, კაცის-მკვლელობისა და ბოროტმოქმედებისა. განსაკუთრებით საკვირველი ავაზაკობა მომხდარა ამას წინად ლენდელენდაში. ერთს თერძს შუა-ღამისას თავი მოუჭრია თავის სამოც-და-ცამეტის წლის დედისა და ცამეტის წლის ძმისწულისათვის და ორივე მოჭრილი თავი ერთად დაუწყვია თეფშზედ. ავაზაკი ამ მკვლელობის ჩადენის დროს სრულს მეხსიერებასა და გონებაზედა ყოფილა.

— ილლინოისში ამ ჟამად ყველა ექიმები ძალიან აღელვებულნი არიან ერთის საკვირველის ავადმყოფობის გამო. ჟოლიეში, წმ. იოსების სამკურნალოში, აგერ ორას ცხრამეტი დღეა წევს ერთი ბნედა-მორეული დედაკაცი უგრძნობლად, გვარად გერბერტი, და აქამდე ვერაფრით ვერ მოუსულიერებიათ. ამ დედაკაცს სულ ერთავად სძინავს და მისი გვამი მოჩვენებას არის დამსგავსებული. იშვიათად თუ მოძრაობაში მოიყვანდეს და გაანძრიოს რომელიმე ნაწილი სხეულისა. თუმცა ამ ხანგრძლივას ძილის დროს ორჯელ ბოდვა დაეწყო ავადმყოფმა, მაგრამ ისე გნებაინად და ჩქარად ლაპარაკობდა, რომ ვერა გაიგეს-რა. ავადმყოფს ყოველ დღე პირში ასხამენ საჭმელს, მაგრამ ძალიან ცოტას მაიღებს ხოლმე. ამის გამო ისე გაჭირდა თურმე, რომ ექიმებს იმედი აღარა აქვთ იმის მორჩენისა.

— საფრანგეთში გამოჩენილა ვიღაც ახირებული „მეცნიერი", რომელსაც გაუნზრახავს, რომ ხალხს თმები დაუთვალოს და გაიგოს რომელ ფერის თმიან კაცს უფრო ბევრი ბეწვი აქვს თავზედ. უშოვნია ოთხი ფერი თმა ადამიანისა, ბაცი ქერა, მუქი ქერა, შავი და ქერა. ამ მოთმინებით აღჭურვილს კაცს დაუთვლია ეს თმები და აღმოჩენილა, რომ ქერა-თმიანებს 90,000 ბეწვი აქვთ თავზედ, წაბლის ფერიანებს—109,000 ბეწვი, შავ-გვრემანებს—100,000 ბეწვი, თეთრ-ყირმიზებს—140,000 ბეწვი. ამ გვარად ყველაზედ მეტად თეთრ-ყირმიზი ქალები ეწვალებიან თმის დავარცხნის დროსაო.

---

## გასართობი

ვენაში ერთი მხატვარია, რომელსაც ბეკკერი ჰქვიან. ამ მხატვარს ორის თვის წინად დაუხატნია სურათი ერთის მშვენიერის ქალისა და ლონდონში გამოუგზავნია გასასყიდად. სურათს ჰქვიან „დილა იუნონასი". სურათზე დახატულია მართლა ფრიად ლამაზი ქალი... ევას სამოსელითა. ქალს შვენიერი თმა აყრია და კოჭებამდე სცემს, ტანი ნაზი და უმტვერო თოვლივით თეთრი აქვს. ამ სურათზე ერთს ლონდონელ კრიტიკოსს უთქვამს, რომ დიდის ხელოვნებით არის დახატულიო. როცა უყურებ, ჰხედავ, რომ მართალი, ცოცხალი ქალია და თითქოს გრძნობ მის ნაზსა და ხავერდისავით ლბილ ხორც-შესხმულობასაო.

აი ეს სურათი უნახავს ერთს მდიდარს ინგლისელს ლორდს და ძალიანაც მოსწონებია. ხომ მოგეხსენებათ, ინგლისელების ახირებული და გულ-ასუყებული ხასიათი, მერე ისიც მდიდარის ინგლისელისა და თან შთამომავლობით ლორდისაცა. ამ ლორდს აუღია და უყიდნია ეს სურათი და ერთს ნაჭერ ტილოში დიდ-ძალი ფული მიუცია. მხატვარი ცას დასწვდა სიხარულით. გაუტენია ჯიბეები და წასულა ევროპაში სახეტიალოდ. დაუვლია იტალია, ისპანია, საბერძნეთი, დაუხატია ბევრი სხვა სურათი კიდევ და დაბრუნებულა თავის სამშობლოს ვენაში. აქ გაუმართავს თავისთვის ცალკე სამხატვრო.

ერთს მშვენიერს დილას მდიდრად მორთული ეტლი გაჩერდა მის სამხატვროს წინ. მხატვარმა შეჰხედა და შენიშნა, რომ ვიღაც მდიდარი ინგლისელია.

— მეო, უთხრა მოსულმა, ის ინგლისელი ვარო, რომელმაც შენი სურათი „დილა იუნონასი" ვიყიდე ამ ორის თვის წინადა.

ლორდმა მოურიდებლად უამბო მხატვარს შემდეგი:

— მე იმიტომ ვიყიდე ისე ძვირად შენი დახატული სურათი, რომ... მეტად მომეწონა და შემიყვარდა სურათზე გამოსახული ქალი. მართალია, მე ვგრძნობ, რომ ასეთი სიყვარული სისულელეა, სიგიჟეა, მაგრამ ჩემი გულის-თქმა მეტად ძლიერი იყო და ვერაფრით ვერა ვსძლიე ამ გრძნობას. ერთი გარემოება მაბრკოლებდა მხოლოდ: მე ცოლიანი ვიყავ და, როგორც ჭეშმარიტს ჯენტლმენს, არ შემეძლო მეღალატნა ჩემის მეუღლისათვის. ეს იყო მიზეზი, რომ აღარ მოვინდომე მენახა ის ქალი, რომლის სახეც თქვენ იმ სურათზე წარმოგიდგენიათ. ახლა ჩემი ცოლი გარდაიცვალა და მე გამოვეშურე, რომ გკითხოთ, ვინ არის ის ქალი, რომლის სახეც თქვენ მაგალითად აგიღიათ სამხატვროდაო.

— ბატონი ხარ, განახვებთ იმ ქალს, უთხრა მხატვარმა. ის ქალი, რომელიც მე გადავხატე, იყო ერთი ღარიბი და წყნარი მკერვალი ქალი და იდგა ვენის ერთს განაპირა უბანში. და ეხლა არ ვიცი სად არის, მაგრამ ვეცდები-კი, ვიპოვნო როგორმე.

— ოღონდ ის იპოვნეთ, შეემუდარა ინგლისელი, და ფული რამდენიც გინდათ მომთხოვეთ და ნურაფერში ნუ დამზოგავთ.

სამს დღეს უკან მხატვარმა ყველაფერი შეიტყო. ის მკერვალი ქალი ნამუს-ახდილ დედაკაცად გადაქცეულიყო და იქამდე მისწეულიყო, რომ ავად გამხდარიყო და იმ დროს სამკურნალოში თურმე იწვა მოსარჩენად.

ლორდმა დინჯად მოისმინა ნაამბობი მხატვრისა.

— გნებავთ ინახულოთ ის მკერვალი ქალი? წავიდეთ, სამკურნალოს ახლოა,—უთხრა მხატვარმა.

ლორდი გაშრა და ხმა ველარ ამოიღო. წაავლო ლიტრას ხელი, დაისხა რამდენიმე ჭიქა წყალი და დალია ზედი-ზედ. აღელვებულმა ლორდმა ბოლთის ცემა დაიწყო სახელოსნოში. შემდეგ ამოიღო დიდ-ძალი ფული და დასდო სტოლზედ.

— ეს ფული იმ ქალისათვის იყოს... გამოვიდეს სამკურნალოდამ... იწამლოს... იმისი ნახვა მე აღარა მსურს...

სთქვა ესა და იმავე დღესვე უცნაური ინგლისელი წავიდა ვენიდამ ლონდონს.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**სექტემბერი 30 დღით არის.**

**5 დღე შაბათი.** წინ.-მეტყ. ზაქარია-სი, წმ. ელისაბედისა და ქალწ.-მოწ. რაი-სასი. კათოლ. ლავრენტისა და ვიქტორი-ნასი. სომეხ. ნიკიის წმ. კრების 318 მამა-მთავართა. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ირაკლიმ დაქირავებულის ჯარით სრულიად დაამარცხა აჯი-ჩელების შვილი, 1752 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54, ტფი-ლისში მზე ამოდის 5—42, ჩადის 6—7. დაბადება მთვარისა საღამოს 5 საათსა და 3 წუთზედ.

**6 დღე კვირა.** მთავარ-ანგელოზ მი-ქაელისა. კათოლ. ზაქარიასი, ევგენიასი და იუსტინიანისა. სომეხ. ალების-ღამე სურბ-ხაჩისა (წმინდა ჯვარისა). მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა მაჰარამისა, 1305 წ. ჰიჯ-რისა. ახალის 1305 წ. ჰიჯრის და-საწყისი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54. ტფილისში მზე ამოდის 5—43. ჩადის 6—5. მთვარე 2 დღისაა.

**7 დღე ორშაბათი.** მოწ. სოზონტისა. კათოლ: რეგინასი და თეოფილესი. სომეხ. ნახატონაჩი. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა მაჰარამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარი-ტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამო-დის 5—44, ჩადის 6—3. მთვარე 3 დღი-საა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ცხვრის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათო-ბით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამ-შაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუ-მიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთ-შაბათობით—დილის 9 საათზე და მიას-წრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავ-კასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატო-სიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარას-კევობითა და კვირაობით. რაკი გე-მი მოვა ფოთიდამ ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადა-ზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშა-ბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა

პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭი რა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და სა-ღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარ-კვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლო-რის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვ-თან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და **ქუთაისში** ქი-ლაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგ-ნი (მხოლოდ 200)

**დასტურლამალი**

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ად-გილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასა-გზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრე-სით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა და ისყიდება:

ტფილისში გრ. ჩარკვიანთან და ქუ-თაისში ვარლამ ქილაძის წიგნის მა-ღაზიაში:

**ქართული მწერლობა**

(მეთორმეტე საუკუნეში),

ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი ერთი აბაზი.

იოსებ დავითაშვილი,

ბიოგრაფიული აღწერა.

ფასი 15 კაპ.

**ТИПОГРАФІЯ**

**„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“**

**(Н. И. Френкель)**

Переведена на Головинскій Проспектъ, противъ Аптеки Гене, въ д. **Шабурова**. Принимаетъ всевозможныя типографскія работы на русскомъ, туземныхъ и иностранныхъ языкахъ. Исполненіе скорое и аккуратное. Цѣны умѣренныя.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს საყოველთაოდ, რომ 6-დგან 14 სექტემბრამდე გასანჯულ იქმნება მილის წყალი და ამ დროის განმავა-ლობაში ნება აქეთ ფას-გადაუხდე-ლად ისარგებლონ ამ წყლით რო-გორც წყლის-გამყიდავებთ, აგრეთვე მხმარებელთაც. 14 სექტემბრიდგან-კი მილის-წყლის ხმარებაზედ შემოღებულ იქმნება ქალაქის საბჭოს მიერ დაწე-სებული ნიხრი და ამ ნიხრით ვედრა-ზედ ¼ კაპ. გადაჰხდებათ. (3—1)

დ-რი რეიხი პირველ სექ-ტემბრიდგან კვლავ მიიღებს

**თვალის ტკივილით ავადმყოფებს**

ყოველ-დღე დილით არსე-ნალის ქუჩაზედ, **№ 17**. 3—1

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წი-გნის მაღაზიებში, გორში—თვით ავ-ტორთან და ქუთაისში—ქილაძის მა-ღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

**ფასი ორი შაური.**

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

II

დავით გურამიშვილი

**ფასი 20 კაპ.**

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობა დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სი-ტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ტისორიული შენიშვნები. (10—10)

გამოვიდა და ისყიდება გრ. ჩარკ-ვიანის წიგნის მაღაზიაში:

**ცისცინათელა**

საყმაწვილო ამბები,

შედგენილი და გამოცემული ა. იანქოშვილისაგან.

**ფასი ხუთი შაური.**

ვინც თხუთმეტს ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, იმას 20 კაპ. დაეთმობა თითო წიგნი. (2—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილის-ში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ქილაძის წიგნის მა-ღაზიაში:

**რამდენიმე სიტყვა**

ბ-ნი ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ

**„ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო**

**აკაკისა**

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ორი შაური

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ილია და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილი-სა . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელია-ნისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავა-ძისა . . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხხუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გო-გებაშვილისა . . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული, ჯულის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვი-ლისა . . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯულელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ-მანი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭ ჭი-ნაძისა . . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა . . . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, მ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანი-შვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. უაზბეგისა . . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუ-მანიშვილისა . . . . . . | › | 30 |

**ტმური სიტყვა**

თხზ. დ. მაჩხანელისა

დაბეჭდილია „ივერიის“ რედაქციის მიერ, ისყიდება:

ტფილისში—ჩარკვიანის, გრიქუროვის, ხიდეკელის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისში—ძმათა ქილაძეთა მაღაზიაში.

გორში—ს. მგალობლიშვილთან.

სიღნაღში—ძმ. შაქერდოვების ჩითის მაღაზიაში.

წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.,


Доз. цен. Тиф. 4 сентября. 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე